



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

მედიცინა, ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა,
სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტი

2023 წლის 26-27 ივლისი

დასკვნის წარდგენის თარიღი:
2023 წლის 5 ოქტომბერი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	8
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	8
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	6
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	2
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	24
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	33

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ- სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204426834
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	აზიმ მირზაზადევი, თეირანის მედიცინის მეცნიერებათა უნივერსიტეტი, თეირანი, ირანი.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ხათუნა საგანელიძე (დარგის ექსპერტი)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ გოდერიძე (დარგის ექსპერტი)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დავით ჯიქია (დარგის დამსაქმებელი)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი აბულაძე (სტუდენტი ექსპერტი) სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	მედიცინა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Medicine
უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი; VII დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	დიპლომირებული მედიკოსი/MD
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0912, მედიცინა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	360
პროგრამის სტატუსი (ახალი, ავტორიზებული/აკრედიტებული პირობით აკრედიტებული/ ახალი/ საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/ შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები)	-

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴**

განხილული პროგრამა არის დიპლომირებული მედიკოსის ახალი ერთსაფეხურიანი პროგრამა ინგლისურ ენაზე. პროგრამა ისწავლება 12 სემესტრის განმავლობაში და მოიცავს 360 კრედიტს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

- ადგილზე ვიზიტი ორგანიზებული იყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და შეხვედრები განხორციელდა სულხან-საბა ორბელიანის კამპუსში (სპონსორთან, რექტორთან, პრორექტორთან და თვითშეფასების გუნდთან) და სამ კლინიკაში (მათ შორის ავერსის კლინიკა, უნივერსიტეტის სარეაბილიტაციო ცენტრი და ბოხუას კლინიკა) (2023 წლის 26 ივლისი). შემდეგ ისევ უნივერსიტეტის კამპუსში დავბრუნდით და პროგრამის ხელმძღვანელთან ხანგრძლივი შეხვედრა გვქონდა.

- დაწესებულებაში ვიზიტს პირადად ესწრებოდა გუნდის ყველა წევრი უცხოელი ექსპერტების ჩათვლით. ვინაიდან პროგრამა ახალია, არ არსებობდნენ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები, თუმცა გასაუბრებები ჩავატარეთ უნივერსიტეტის სხვა პროგრამების სტუდენტებთან.

- ვიზიტის მეორე დღეს (2023 წლის 27 ივლისი), ექსპერტთა პანელმა მოინახულა კლასები, პრაქტიკული ლაბორატორიები, კლინიკური უნარებისა და სიმულაციის ცენტრი და ბიბლიოთეკა, ასევე ჩაატარა დარჩენილი შეხვედრები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალთან, ფაკულტეტის აფილირებულ და მოწვეულ წევრებთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან. საბოლოოდ, ჩვენი გუნდი შეხვდა დამფუძნებელს, რექტორს, პრორექტორს და პროგრამის ხელმძღვანელს და მივაწოდეთ გააცნო დასკვნების შეჯამება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1	1,1: შესაბამისობა აშია	1,2: შესაბამისობა აშია	1,3: ნაწილობრივ შესაბამისობაა	1,4: ნაწილობრივ შესაბამისობაა	1,5: ნაწილობრივ შესაბამისობაა
სტანდარტი 2	2,1: მეტწილად შესაბამისობა აშია	2,2: ნაწილობრივ შესაბამისობაა	2,3: ნაწილობრივ შესაბამისობაა	2,4: ნაწილობრივ შესაბამისობაა	

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

		ია	ია	ია	
სტანდარტი 3	3,1: შესაბამისობა აშია				
სტანდარტი 4	4,1: მეტწილად შესაბამისობა აშია	4,2: -	4,3: ნაწილობრივ შესაბამისობა აშია	4,4: ნაწილობრივ შესაბამისობა აშია	4,5: შესაბამისობა აშია
სტანდარტი 5	5,1: მეტწილად შესაბამისობა აშია	5,2: შესაბამისობა აშია	5,3: მეტწილად შესაბამისობა აშია		

▪ **რეკომენდაციები**

1. უნდა შეიქმნას და განვითარდეს მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების შესაძლებელი და ქმედითი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მყარ მტკიცებულებებს სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ.
2. რეკომენდირებულია სასწავლო პროცესის მონიტორინგი, რათა სწავლის შედეგები შეფასდეს პროგრამაში და სილაბუსებში აღწერილი მეთოდების მიხედვით (მედიცინის პროგრამის შემთხვევაში - მედიცინის დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად).
3. პროგრამასა და ინდივიდუალურ სილაბუსებში მოცემული სწავლის შედეგების მისაღწევად, განსაკუთრებით პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით, რეკომენდირებულია გადაიხედოს საკონტაქტო საათების რაოდენობა.
4. სამედიცინო სამართლის შესავალი წარმოდგენილია როგორც არჩევითი კურსი, რომელიც, პროგრამის შედეგებიდან გამომდინარე, სავალდებულო კურსი უნდა იყოს.
5. ენზიმოლოგიის კურსის შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც ამჟამად მეშვიდე სემესტრშია შემოთავაზებული, აუცილებელია მისი გადატანა სასწავლო გეგმის საბაზისო ფაზაში.
6. სასურველი სწავლის შედეგების მისაღწევად, აუცილებელია საკონტაქტო საათების უფრო სწორი განაწილება.
7. სილაბუსებში უნდა დაზუსტდეს შეფასებისა და სწავლებისა და სწავლისთვის (სემინარებისთვის) განკუთვნილი დრო. უმეტეს შემთხვევაში, შეფასებები შედის „სემინარში“, რომელიც წარმოდგენილია როგორც სწავლებისა და სწავლის მეთოდი მედიცინის პროგრამაში.
8. საჭიროა გადაიხედოს ისეთი სილაბუსების მიზნები, როგორცაა „კლინიკური მეცნიერების საფუძვლები I“ და „კლინიკური მეცნიერების საფუძვლები II“ მათში არსებული გადაფარვების სამართავად.
9. ენობრივი კომპეტენციის მოთხოვნა მიღების პროცესში გარკვეულ დისბალანსს ქმნის ქართველ (ეროვნული გამოცდებით ჩარიცხულ) და უცხოელ სტუდენტებს შორის. ქართველმა სტუდენტებმა ან წარმატებით უნდა გაიარონ უნივერსიტეტის შიდა B2 დონის გამოცდა ან, წინაპირობის შესაბამისად, უნდა წარადგინონ სერთიფიკატი.
10. არსებითად უნდა გადაიხედოს პროფესიული ასპექტების კურსების შინაარსი. ისინი თანდათან უნდა დაიწყოს და გართულდეს და აქცენტი მედიცინის სტუდენტის რეალურ საჭიროებებზე უნდა გაკეთდეს.
11. უნდა გადაიხედოს კურსების უმრავლესობის სილაბუსები, რათა შეიცავდეს

სწავლებისა და სწავლის შესაბამის მეთოდებს, რაც სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეკლინიკურ საგნებზე დაფუძნებულ კურსებში, ლექციის გარდა, უფრო აქტიური უნდა იყოს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდები. პრაქტიკული და პროფესიული უნარების გადამცემისთვის უნდა არსებობდეს შესაბამისი სწავლება-სწავლის მეთოდები.

12. პროგრამის კლინიკურ ფაზაში მეტი შესაძლებლობა უნდა გამოიყოს პაციენტსა და ექიმს შორის ურთიერთობისთვის.
13. უმაღლესი სამედიცინო განათლების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტისა და მინიმალური სტანდარტების გათვალისწინებით, რეკომენდებულია პორტფოლიოს/ჩანაწერთა წიგნის, როგორც შეფასების ერთ-ერთი სავალდებულო მეთოდის ინტეგრირება სწავლის მენეჯმენტის სიტემაში.
14. მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის რამდენიმე სასწავლო კურსში, სადაც შუალედური გამოცდა ტარდება MINI-CEX-ით, რეკომენდებულია გამოცდის შეფასების ქულების დიაპაზონის გაზრდა იმ პირობით, რომ სტუდენტს შეეძლება ბარიერი, რომლის ვერ გადალახვის შემთხვევაში, მას არ მიეცემა დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება.
15. აუცილებელია დაზუსტდეს იმ ადამიანების წვლილი და კვალიფიკაცია სტუდენტების სწავლა-სწავლების პროცესში, რომლებიც არ არიან ფაკულტეტის წევრები.
16. უნივერსიტეტმა რეგულარულად უნდა აკონტროლოს პერსონალის რაოდენობა (სასწავლო და ადმინისტრაციული), რათა შენარჩუნდეს სტუდენტებისთვის მაღალი ხარისხის განათლების მიწოდება, და ასევე უნდა გაზარდოს იმ ექიმების რაოდენობა, რომლებსაც აქვთ კლინიკური პრაქტიკა.
17. აუცილებელია სამედიცინო განათლების სფეროში აფილირებული და მოწვეული პერსონალის განვითარების მხარდაჭერა, ინოვაციური სწავლება-სწავლისა და შეფასების მიმართულების ჩათვლით.
18. აუცილებელია ფაკულტეტის წევრებისთვის მეტი შესაძლებლობების უზრუნველყოფა და სასწავლო სფეროში მათი აკადემიური განვითარების მხარდაჭერა.
19. შემუშავდეს უნივერსიტეტის ლაბორატორიებისა და სიმულაციური ცენტრის გამოყენების დეტალური გეგმა, რათა უზრუნველყოფის იქნას დიდი რაოდენობის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობა (60 სტუდენტი იმ ლაბორატორიებში, რომლებსაც მხოლოდ 10 სტუდენტის ტევადობა აქვთ თითოეულ ჯერზე).
20. უზრუნველყოფილ იქნეს აფილირებულ კლინიკებში საკმარისი სივრცეები, მათ შორის პაციენტების მონახულების ოთახები და სასწავლო ოთახები, სტუდენტების კლინიკური როტაციისათვის.
21. ბიბლიოთეკაში უნდა გაიზარდოს მოთხოვნადი წიგნების რაოდენობა, რომლებსაც მეტი სტუდენტი გამოიყენებს და გაიცემა დროებითი სარგებლობისათვის.
22. შემუშავდეს უნივერსიტეტის მიერ კლინიკური განათლების ხარისხის ზედამხედველობის სათანადო სისტემა ასე დიდი რაოდენობის ტერიტორიულად გაფანტული კლინიკების გათვალისწინებით.
23. დაწესებულებამ უნდა გააძლიეროს ხარისხის შეფასების სისტემა, რომელიც შექმნილია სპეციალურად მედიცინის პროგრამის განხორციელებისა და

განვითარებისთვის.

24. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს საკმარისი რესურსი შეფასების გეგმის ადგილზე განსახორციელებლად ან შეზღუდოს MD პროგრამის მიმდინარე მონიტორინგისა და შეფასების გეგმა.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

1. სასურველია მინი კლინიკური გამოცდისა და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის საკითხების ინტეგრირება ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში.
2. სასწავლო პროგრამა ამჟამად აღწერილია, როგორც "ნაწილობრივ ინტეგრირებული" სამედიცინო პროგრამა, რომელიც ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზეა, და რომლის განვითარება უფრო ინტეგრირებული მიმართლებით არის შესაძლებელი.
3. სასურველია, გაფართოვდეს პროგრამაში შემოთავაზებული ენების არჩევანი და „იტალიური ენის“ სავალდებულო კურსს სხვა ენებიც დაემატოს, ვინაიდან გაცვლითი პროგრამები დაგეგმილია არაიტალიურენოვან ქვეყნებში.
4. სადაც ტუტორებს არ აქვთ დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაცია, სასარგებლო იქნებოდა იმის გარკვევა, თუ რა კონკრეტული საგნები და უნარები შეიძლება ასწავლონ ჯანდაცვის სხვა პროფესიონალებმა და კვალიფიკაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევების დონე.
5. მიზანშეწონილია, კლინიკური პრაქტიკის ლოკაციებზე სტუდენტების რაოდენობის შემცირება 5-6 სტუდენტამდე თითოეულ ჯგუფში.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

▪ **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფმა საფუძვლიანად განიხილა სულხან-საბას უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და თითოეული პასუხი. ჩვენ ამოვიღეთ 4 რეკომენდაცია. მათგან ორი რეკომენდაცია ამოვიღეთ იმის საფუძველზე, რომ ვიპოვეთ უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, ერთი კი მიუღებელი გამეორების გამო. მეოთხე ამოვიღეთ, რადგან ექსპერტთა ჯგუფისთვის მისაღები იყო უსდ-ს არგუმენტირებული პოზიცია. სხვა კომენტარები უცვლელი დარჩა.

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიზნები ნათელია და უკავშირდება სასწავლო სფეროს, დონეს და საგანმანათლებლო პროგრამას; იგი იყოფა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიხედვით. ვინაიდან ის მიზნები ეფუძნება დარგობრივი მახასიათბლის უახლეს ვერსიას, მხედველობაში იქნა მიღებული მედიცინის სფეროს სპეციფიკა, მიზნები რეალისტური და მიღწევადია. უნივერსიტეტის მმართველ ადმინისტრაციასთან და თვითშეფასების გუნდთან გასაუბრებისას ცხადი გახდა, რომ უნივერსიტეტმა ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა, რომელიც აჩვენებს მედიცინის სფეროში მეტი საერთაშორისო სტუდენტების განათლების საჭიროებას, რათა გაუმკლავდნენ გლობალური ბაზრის მზარდ საჭიროებებს. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სულხან-საბას თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, ფორმულირებისა და შემუშავების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების პროცედურა.
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ვებგვერდი;
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვინაიდან სწავლის შედეგები ეფუძნება დარგობრივი მახასიათებლის უახლეს ვერსიას, ისინი:

- შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ყურადღებას ამახვილებს ყოვლისმომცველ ცოდნაზე, უნარებსა და/ ან პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობაზე, რომლებიც განსაზღვრულია პროგრამის შინაარსით.
- გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია. კლინიკურ მეცნიერებებში ყურადღება გამახვილებულია პაციენტზე ორიენტირებულ მიდგომაზე და ეფექტურ კომუნიკაციაზე, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დიაგნოზზე, მკურნალობაზე; ასევე აქცენტი კეთდება სწავლის შედეგების მოტივაციის დაწერაზე.
- სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მოთხოვნებს და კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს სწავლა გააგრძელონ განათლების შემდეგ საფეხურზე;
- შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს;
- წარმოდგენილ დოკუმენტებში კარგად არის ასახული კვლევის უნარებთან დაკავშირებული შინაარსი, დიაგნოსტიკის მეთოდები და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა, პაციენტის გააზრება ფართო სოციალურ, კულტურულ და ა.შ. კონტექსტში და მედიცინის გლობალური ასპექტები, ასევე სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური, სამართლებრივი და პროფესიული პასუხისმგებლობა.
- შეესაბამება განათლების შესაბამის საფეხურს კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოსა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის მიხედვით.
- ეყრდნობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგის სამიზნე ნიშნულებს.

თვითშეფასების განხილვისა და პროგრამის ხელმძღვანელთან და თვითშეფასების გუნდთან გასაუბრების საფუძველზე, აშკარა იყო, რომ დაინტერესებული მხარეების მრავალფეროვანი სპექტრი, მათ შორის აფილირებული და მოწვეული პერსონალი, ასევე დამსაქმებლები

ჩართული იყვნენ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o სულხან- საბას თვითშეფასების ანგარიში
- o სულხან- საბას სამედიცინო პროგრამის სწავლის შედეგები, სამიზნე ნიშნულები და შეფასების გეგმა
- o სულხან- საბას სამედიცინო პროგრამა
- o შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- o ვებგვერდი;
- o გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ- მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სილაბუსები საკმაოდ დეტალურად აღწერს სწავლის შედეგების მეთოდებს, კომპონენტებს, ქულებსა და კრიტერიუმებს. პროგრამას ახლავს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც ნაჩვენებია, თუ რომელ კურსში/ კომპონენტში ისწავლება და ფასდება იგი.

ამ სქემაში დაგეგმილია შეფასების მრავალმხრივი და ეფექტური, პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები, მათ შორის ზეპირი გამოცდები, წერილობითი ტესტი/ ქვიზები, პრაქტიკული უნარების დემონსტრირება (სიმულატორებზე/ მანეკენებზე, პაციენტებზე ან

სტანდარტიზებულ პაციენტებზე), ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდები (OSCE) - შუალედურ შეფასებებში მინი-OSCE (სადაც ქულების რაოდენობა შეიძლება იყოს 12 და ფინალურ გამოცდაშიც 12), ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE) ლაბორატორიული და/ან ინსტრუმენტული გამოკვლევებისთვის პრეკლინიკურ მეცნიერებებში, როგორცაა ფიზიოლოგია, ბიოქიმია და პათოლოგია. სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასება (WPBA) გამოიყენება კლინიკურ ტრენინგში, პროცედურული უნარების პირდაპირი დაკვირვებით (DOPS), შემთხვევებზე დაფუძნებული დისკუსიით (CBD) და მინი კლინიკური შეფასების სავარჯიშოებით (Mini-CEX).

შეფასების ეს სისტემა გამჭვირვალეა და მხედველობაში იღებს დარგის თავისებურებებს. ადგილზე ვიზიტისა და გასაუბრებების დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი კარგად იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. გასაუბრებისას ნაწილობრივ დადასტურდა, რომ ამ შეფასებების საფუძველზე უნივერსიტეტი განახორციელებს პროგრამის სწავლის შედეგების ნებისმიერ აუცილებელ კორექტირებას იმ კონკრეტულ ეტაპზე და კლინიკური ფაზის დაწყებამდე.

რომ შევაჯამოთ, უსდ შესრულების მოქმედი ინდიკატორების მთელ რიგს განიხილავს და განახლებული საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება მიმდინარეობდეს ამჟამად მიღებული პრინციპების შესაბამისად.

ძირითად ვადაში პროგრამის დასრულების მაჩვენებელი გამოიყენება პროგრამის შედეგების შეფასების საჩვენებლად. ასევე, პროგრამით დაგეგმილი შედეგების მიღწევის ინდიკატორად განიხილება სტუდენტების მომავალი დასაქმება. ამ მხრივ სრულად არის გათვალისწინებული სამედიცინო ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნები. პროგრამის შემუშავებისთვის გამოყენებული იქნება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი და მიღებული შედეგების შედარება სამიზნე ნიშნულთან. საჭიროების შემთხვევაში შეცვალეთ პროგრამის მიზნები/ შინაარსი/ სწავლის შედეგები/ შეფასების სისტემა.

მიუხედავად იმისა, რომ შემოთავაზებული პროგრამა ახალია და, შესაბამისად, მას არ შეუძლია იმის დამტკიცება, თუ როგორ შეფასდა პროგრამის სწავლის შედეგები და როგორ გამოიყენეს ისინი პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად, არ არსებობს შესაბამისი მტკიცებულება იმის თაობაზე, თუ როგორ იქნება გამოყენებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება პროგრამის ეფექტურობის ინდიკატორად და როგორ იქნება იგი გამოყენებული პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნდა არსებობდეს მჭიდრო კავშირი საგანმანათლებლო პროგრამის პრეკლინიკურ და კლინიკურ ნაწილებს შორის, რათა შემოწმდეს კლინიკური ტრენინგის ხარისხი და პრაქტიკა მე-3 კურსის შემდეგ - ხელი შეეწყოს უწყვეტი სწავლის პროცესს და უზრუნველყოფილ იქნას გეგმებსა და რეალობას შორის თავსებადობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- გასაუბრებები პერსონალთან

რეკომენდაციები:

1. უნდა შეიქმნას და განვითარდეს მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების შესაძლებელი და ქმედითი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მყარ მტკიცებულებებს სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ.
2. რეკომენდებულია სასწავლო პროცესის მონიტორინგი, რათა სწავლის შედეგები შეფასდეს პროგრამაში და სილაბუსებში აღწერილი მეთოდების მიხედვით (მედიცინის პროგრამის შემთხვევაში - მედიცინის დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. სასურველია მინი კლინიკური გამოცდისა და ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდის საკითხების ინტეგრირება ელექტრონულ ბაზაში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ- ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა "მედიცინა" შემუშავებულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, ფორმულირებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით. გასაუბრების დროს გაირკვა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა „მედიცინა“ ინიცირებული იყო ადმინისტრაციის შესაბამისი პერსონალის მიერ და მისი დაარსება ეფუძნებოდა შრომის ბაზრის ანალიზს, დამსაქმებელთა მოთხოვნებს, ასევე ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობას. საგანმანათლებლო პროგრამის შექმნასა და განვითარებაში მონაწილეობდნენ აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, პოტენციური დამსაქმებლები, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და სხვა პროგრამის სტუდენტები.

პროგრამის დაგეგმვისა და ფორმულირებისას გათვალისწინებული იყო შემდეგი ასპექტები: კონკრეტული სფეროს მოთხოვნები, უნივერსიტეტის პრიორიტეტები, დამსაქმებლების წვლილი, პარტნიორების გამოხმაურება, პროგრამაში ჩარიცხული სტუდენტების პროპორცია და ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის. ფაკულტეტი ასევე უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავებისა და კოორდინაციის და კურიკულუმის ფორმულირების პროცესის საჯაროობასა და გამჭვირვალობას.

პროგრამის ფორმულირება და განვითარება ეფუძნება თანამშრომლობას და მასში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე, პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად. პარტნიორი უნივერსიტეტებია:

1. ლუბლიანას კათოლიკური უნივერსიტეტი. (პოლონეთი);
2. ჟესოვის უნივერსიტეტი (პოლონეთი).
3. ვინაიკას მისიის კვლევის ფონდი (ინდოეთი)

პროგრამა სტრუქტურირებულია საქართველოს კანონმდებლობის და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა მოქმედებს ECTS სისტემის ფარგლებში, არის სტუდენტებზე ორიენტირებული და პროგრამის მიზნების მისაღწევად იყენებს აუცილებელ აკადემიურ დატვირთვას. სრული პროგრამა მოიცავს 360 კრედიტს, რაც უდრის 9000 საათს. სტუდენტები ყოველწლიურად ითვისებენ 60 კრედიტს, სემესტრში 30 კრედიტს. შესაბამისად, პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა ექვსი წელია (12 სემესტრი). ერთი სასწავლო წელი მოიცავს ორ სემესტრს, ხოლო თითოეული სემესტრის ხანგრძლივობა 20 კვირაა. ერთი ECTS უდრის 25 ასტრონომიულ საათს. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საკონტაქტო საათები არ უტოლდება 5500 საათს. თუმცა, ექსპერტების აზრით, სასურველია პროგრამამ გაითვალისწინოს ეს საათები, რათა კურსდამთავრებულებს კარიერის შემდეგ ეტაპზე ბარიერი არ შეექმნათ (2005/36 ევროპული დირექტივისა და ევროპარლამენტისა და პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების შესახებ 2005 წლის 7 სექტემბრის ევროპის საბჭოს რეგულაციის მიერ მოთხოვნილი 5500 საათი). ვინაიდან პრაქტიკული და კლინიკური უნარების შეძენა საჭიროებს დამატებით საკონტაქტო საათებს, განსაკუთრებით კლინიკაში პაციენტთან ურთიერთობა, რეკომენდებულია საკონტაქტო საათების გაზრდა სასურველი სწავლის შედეგების მისაღწევად. აღსანიშნავია, რომ საბაზისო კურსებთან დაკავშირებით საკონტაქტო საათების განხილვა არ ხდება; აქცენტი კეთდება მხოლოდ კლინიკურ კურსებზე. პროგრამა განსაზღვრავს გარკვეულ კურსებს, როგორც კლერკშიპს, რაც საჭიროებს საკონტაქტო საათების გაზრდას. თავად კლერკშიპის ფორმატი უფრო მეტად უსვამს ხაზს პრაქტიკულ სწავლას ვიდრე დამოუკიდებელ სწავლას. ამ კლერკშიპის ფარგლებში პრაქტიკულ და უკონტაქტო დამოუკიდებელ სამუშაოზე საათების განაწილებამ სერიოზული პრობლემები გამოიწვია. მაგალითად, როდესაც ვუყურებთ საათების განაწილებას კურსზე ქირურგია I - ძირითადი კლერკშიპი, აქ არ არის ნახსენები პრაქტიკული სწავლების მეთოდი; სამაგიეროდ, 77 საათი ეთმობა ლექციებსა და სემინარებს, ხოლო 70 საათი დამოუკიდებელ სამუშაოს. "შინაგანი მედიცინა II - ძირითადი კლერკშიპის" შემთხვევაში, პრაქტიკული გამოცდილებისთვის 75 საათი არის განკუთვნილი და დამოუკიდებელი სწავლისთვის 98 საათი. იგივე შეინიშნება სხვა კლერკშიპში, როგორცაა ნევროლოგია და ინფექციური დაავადებები ძირითადი კლერკშიპი.

პროგრამის კურსდამთავრებულთათვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს.

მედიცინის პროგრამის სტრუქტურა ნაწილობრივ ინტეგრირებულია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დღევანდელი ინტეგრაციის დონე დაბალია და სასურველია საგანმანათლებლო

პროგრამის ფარგლებში გაიზარდოს ინტეგრაციის დონე.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამა ეფუძნება SPICES მოდელს (სტუდენტზე ორიენტირებული, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ინტეგრირებული სწავლება, საზოგადოებაზე დაფუძნებული, არჩევითი, სისტემატური). პროგრამის დეტალებისა და ყველა სილაბუსების შესწავლით აშკარაა, რომ ეს სტრატეგიები პროგრამაში არ არის დანერგილი. მაგალითად, სასწავლო გეგმის კლინიკური ნაწილი ეფუძნება მხოლოდ საავადმყოფოებს და, შესაბამისად, ის არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებაზე დაფუძნებულად. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ კურსში არის რამდენიმე სესია, რომელიც იყენებს PBL როგორც სწავლების მეთოდს, ის სრულიად განსხვავდება PBL- ის, როგორც სასწავლო პროგრამის მთავარი სტრატეგიისგან.

პროგრამა შედგება ოთხი ეტაპისგან:

ფაზა 1 (საბაზო) -სემესტრი I- IV

ფაზა 2 (პრეკლინიკური ფაზა) - სემესტრი V- VI

ფაზა 3 (კლინიკური ფაზა) - სემესტრი VII- X

ფაზა 4 (კლინიკური პრაქტიკა და კვლევის ფაზა) - სემესტრი XII

საგანმანათლებლო პროგრამას აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული თანმიმდევრული სტრუქტურა (სავალდებულო (სპეციალური და ზოგადი) და არჩევითი (სპეციალური და ზოგადი) სასწავლო კურსები), რომელიც ცოდნის გადაცემის პრინციპით ითვალისწინებს: ზოგადიდან სპეციფიკურამდე, მარტივიდან რთულამდე. იმავდროულად, როგორც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება განხილული, სასწავლო გეგმის ზოგიერთ ნაწილში ცოდნის გადაცემის რეჟიმი, რომელიც დაკავშირებულია ტრანსფერულ უნარებთან (როგორცაა პროფესიონალიზმი და ეთიკა, ლიდერობის უნარები და კლინიკური უნარები) ასე არ მიმდინარეობს და იწყება ზედმეტად რთული და ღრმა თემებით.

სამედიცინო განათლების პროგრამის დასრულების მიზნით სტუდენტმა უნდა დააგროვოს 360 კრედიტი, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება:

დარგობრივი სასწავლო კურსები - 337 (ECTS), მათ შორის:

- სავალდებულო სასწავლო კურსები (322 ECTS)
- არჩევითი კურსები 15 (ECTS)

ზოგადი სასწავლო კურსები - 23 (ECTS), მათ შორის:

- სავალდებულო სასწავლო კურსები 16 (ECTS);
- არჩევითი სასწავლო კურსები 7 (ECTS);

პროგრამის სტრუქტურა ინარჩუნებს თანმიმდევრულობას და რაციონალურობას. პროგრამის შინაარსიც და სტრუქტურაც შექმნილია იმისთვის, რომ გარანტირებული იყოს სასურველი სწავლის შედეგების მიღწევა.

მომდევნო კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია; თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასურველია ზოგიერთი კურსის გადაადგილება. ენზიმოლოგია შემოთავაზებულია მეშვიდე სემესტრში, თუმცა მისი შინაარსის მიხედვით, მისი სწავლება საბაზისო ფაზაში უნდა ხორციელდებოდეს.

ასევე, „სამედიცინო სამართლის შესავალი“ წარმოდგენილია როგორც არჩევითი კურსი, რომელიც, პროგრამის შედეგებზე დაყრდნობით (სწავლის შედეგები 3, 7, 9 და 12 მედიცინის პროგრამის ფარგლებში კონკრეტულად მოიცავს იურიდიული პრინციპების გააზრებას), სავალდებულო უნდა იყოს.

ექსპერტებმა გასაუბრებაზე ვერ მიიღეს ზუსტი პასუხი იმის შესახებ, არის თუ არა პროგრამაში იტალიური ენის სავალდებულო კურსი. ალბათ უფრო მიზანშეწონილი იქნება,

რომ სტუდენტებს შევთავაზოთ სხვა ენების არჩევანიც (ქართულის გარდა, მედიცინის მახასიათებლის მოთხოვნის გამო).

უმაღლესი სასწავლო დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ევროპული დირექტივა 2005/ 36/ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის რეგულაცია (EC) No 36/2001 პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების შესახებ

რეკომენდაციები:

- პროგრამასა და ინდივიდუალურ სილაბუსებში მოცემული სწავლის შედეგების მისაღწევად, განსაკუთრებით პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით, რეკომენდებულია გადაიხედოს საკონტაქტო საათების რაოდენობა.
- სამედიცინო სამართლის შესავალი წარმოდგენილია როგორც არჩევითი კურსი, რომელიც, პროგრამის შედეგებიდან გამომდინარე, სავალდებულო უნდა იყოს.
- ენზიმოლოგიის კურსის შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც ამჟამად მეშვიდე სემესტრშია შემოთავაზებული, აუცილებელია მისი გადატანა სასწავლო გეგმის საბაზისო ფაზაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასწავლო პროგრამა ამჟამად აღწერილია, როგორც "ნაწილობრივ ინტეგრირებული" სამედიცინო პროგრამა, რომელიც ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპებზეა, და რომლის განვითარება უფრო ინტეგრირებული მიმართლებით არის შესაძლებელი.
- სასურველია, გაფართოვდეს პროგრამაში შემოთავაზებული ენების არჩევანი და „იტალიური ენის“ სავალდებულო კურსს სხვა ენებიც დაემატოს, ვინაიდან გაცვლითი პროგრამები დაგეგმილია არაიტალიურენოვან ქვეყნებში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სილაბუსები წარმოდგენილია სტანდარტიზებული სტრუქტურით, სადაც დეტალურადაა აღწერილი კურსის მიზანი, ამოცანები, სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგები, შეფასების მეთოდები, კურსის შინაარსი და ლიტერატურა.

სილაბუსების შინაარსი და აუცილებელი სახელმძღვანელოები და ცნობარები შეესაბამება სწავლის შედეგებს და ფასდება შეფასების სხვადასხვა მეთოდით.

„დერმატოვენეროლოგიის“ სილაბუსის მიხედვით, არის ლექციების 6 საათი, თუმცა კურსის შინაარსი საკმაოდ ბევრ მასალას მოიცავს და ექსპერტების აზრით, ძალიან რთული იქნება სტუდენტებისთვის ამხელა მოცულობის მასალის შესწავლა 6 საათში და ამ დროში მისი ჩატევა.

უნდა გადაიხედოს სილაბუსებში სემინარებისა და გამოცდებისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათები, რადგან მიმდინარე აღწერა მიუთითებს, რომ ერთსაათიანი სემინარები მოიცავს აქტივობებს, როგორცაა "დისკუსია ლექციის თემებზე, შეფასება: ზეპირი შეფასება 1 ქულა, პრაქტიკული სამუშაო 1 ქულა" ან "შეფასება: მაქსიმუმ 1 ქულა ზეპირი შეფასებისთვის" (მაგალითად, სილაბუსში "კლინიკური მეცნიერების საფუძვლები I", "ჯანმრთელობის ინფორმატიკა", "ბიოსამედიცინო მეცნიერებათა საფუძვლები"). ასევე, რთული იქნება მთელი ჯგუფის ზეპირი და წერილობითი შეფასება ასეთ მოკლე დროში. გარდა ამისა, აღნიშნული აქტივობები არ წარმოადგენს სემინარის ფორმატს და ამ შემთხვევაში სწავლების ფორმატის სახელწოდება უნდა შეიცვალოს.

ზოგიერთი კურსის მიზნები უნდა გადაიხედოს უნივერსიტეტის მიერ. მაგალითად, კურსი „შინაგანი მედიცინა II“. ეს კურსი VIII სემესტრის კურსია და სილაბუსში განსაზღვრული მიზანია: „კურსის მიზანია შესძინოს სტუდენტებს გასტროენტეროლოგიური, ნეფროლოგიური და ენდოკრინული დაავადებების და მეტაბოლური დარღვევების საბაზისო ცოდნა - როგორცაა ეტიოლოგია პათოგენეზი, კლინიკური გამოვლინება, დიაგნოსტიკა და მკურნალობის ზოგადი პრინციპები.“ ეს მიზანი („საბაზისო ცოდნა“, ეტიოლოგია, პათოგენეზი....) არ ემთხვევა კურსის დასახულ მიზანს მე-8 სემესტრში, რადგან ეს შედეგები სტუდენტს მიღწეული უნდა ქონდეს ადრეულ კურსებზე, რომლებიც მოიცავს პათოლოგიას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორი სასწავლო კურსის ამოცანები იდენტურია და საჭიროებს კორექტირებას. "კლინიკური მეცნიერების საფუძვლები I" და "კლინიკური მეცნიერების საფუძვლები II" აქვთ იგივე მიზანი "საბაზისო ცოდნა ადამიანის ორგანიზმში ძირითადი სასიცოცხლო პროცესების მიმდინარე ცვლილებების, პათოლოგიური მდგომარეობის დროს წარმოქმნილი დარღვევებისა და მათი მკურნალობის შესახებ და განავითარონ თეორიული ცოდნის ანალიზისა და პრაქტიკაში გამოყენების უნარი“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სილაბუსები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- სასურველი სწავლის შედეგების მისაღწევად, აუცილებელია საკონტაქტო საათების უფრო სწორი განაწილება.
- სილაბუსებში უნდა დაზუსტდეს შეფასებისა და სწავლებისა და სწავლისთვის (სემინარებისთვის) განკუთვნილი დრო. უმეტეს შემთხვევაში, შეფასებები შედის „სემინარში“, რომელიც წარმოდგენილია როგორც სწავლებისა და სწავლის მეთოდი მედიცინის პროგრამაში.
- საჭიროა გადაიხედოს ისეთი სილაბუსების მიზნები, როგორცაა „კლინიკური მეცნიერების საფუძვლები I“ და „კლინიკური მეცნიერების საფუძვლები II“ მათში არსებული გადაფარვების სამართავად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა ანალოგიური მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა ანალოგიური მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა ანალოგიური მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა ანალოგიური მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობა ანალოგიური მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობა ანალოგიური მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობა ანალოგიური მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობა ანალოგიური მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადვილათობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება- სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მიღების წინაპირობები შესაბამისი და გამჭვირვალეა, თანხვედრაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის; საგანმანათლებლო პროგრამის დახასიათება განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.sabauni.edu.ge.

ასევე განსაზღვრულია პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე მიღების წინაპირობები. ყურადღება გამახვილებულია ინგლისური ენის კომპონენტზე:

- ერთიანი ეროვნული გამოცდების შემთხვევაში, ინგლისური ენის ჩაბარება აუცილებელი პირობაა (უნივერსიტეტის მიერ დადგენილი კოეფიციენტებისა და საგნის მინიმალური ზღვარის გათვალისწინებით);
- ინგლისური ენის კომპონენტი ეთვლება: უცხოელ სტუდენტებს იმ შემთხვევაში, თუ წარადგენენ ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონის სერტიფიკატს (IELTS, TOEFL, Cambridge English და ა.შ.);
- ინგლისურენოვანი განათლების მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შესაბამისი დოკუმენტის (მაგ. დოკუმენტი) წარდგენისას; საქართველოს მოქალაქეს, რომელმაც მიიღო სრული ზოგადი ან ეკვივალენტური განათლება უცხო ქვეყანაში ინგლისურ ენაზე და რომელიც სწავლობდა უცხო ქვეყანაში სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წლის განმავლობაში და წარადგენს შესაბამის დოკუმენტს (მაგ. სერტიფიკატი და ა.შ. .)
- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის უცხო ენების ცენტრის მიერ ორგანიზებული სტანდარტიზებული (4 - კომპონენტი: მოსმენა, გაგება, ანალიზი და საუბარი) გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, სადაც დადასტურდება ინგლისური ენის ცოდნის ზემოაღნიშნული დონე (B2).

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობით, უმაღლესი სასწავლებლიდან სხვა უმაღლეს სასწავლებელში გადაყვანის წესის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ ნ ბრძანებით, ასევე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის, შიდა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებულ საგანმანათლებლო კრედიტების აღიარების პროცედურის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა "მედიცინა";
- o საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია“
- o კრედიტების აღიარების პროცედურა
- o <https://www.sabauni.edu.ge>
- o უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- ენობრივი კომპეტენციის მოთხოვნა მიღების პროცესში გარკვეულ დისბალანსს ქმნის ქართველ (ეროვნული გამოცდებით ჩარიცხულ) და უცხოელ სტუდენტებს შორის. ქართველმა სტუდენტებმა ან წარმატებით უნდა ჩააბარონ უნივერსიტეტის შიდა B2 დონის გამოცდა, ან მიღების წინაპირობის სახით უნდა წარადგინონ სერთიფიკატი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

I სემესტრიდან დაწყებული მთელი პროგრამის განმავლობაში „პროფესიული ასპექტების კურსების“ სახით არსებობს კარგად განსაზღვრული თემა პრაქტიკული/კლინიკური უნარებისა და პროფესიონალიზმის, სამედიცინო ეთიკის, კომუნიკაციის უნარებისა და ლიდერობის უნარების განსავითარებლად სტუდენტ მედიკოსებში. ასეთი კურსის არსებობა აჩვენებს პროგრამის ვალდებულებას, რომ განავითაროს ეს უნარები სტუდენტებში. ამავდროულად ამ კურსების შინაარსის ორგანიზება საჭიროებს რადიკალურ გადაიხედევას, რათა გახდეს უფრო ლოგიკური

და რაციონალური.

მაგალითად, პროფესიულ ასპექტებში I, რომელიც დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის პირველ სემესტრშია, არის შემდეგი შინაარსი:

- თემა 1. ბიოეთიკა: ეთიკა, როგორც ფილოსოფიის დარგი. ეთიკური ნორმების წყაროები.
- თემა 2. ბიოეთიკა: უმნიშვნელოვანესი ეთიკური საკითხები ექიმების მუშაობაში. პროფესიული მოვალეობები
- თემა 3. ბიოეთიკა: ეთიკურ პრინციპებისა და სამართლებრივ რეგულაციებს შორის ურთიერთობა. ადამიანური ღირებულებები
- თემა 4. ბიოეთიკა: ბიოეთიკა და მორალის თეორიები
- თემა 5. ბიოეთიკა: მორალის თეორიების განსჯის კრიტერიუმები.
- თემა 6. ბიოეთიკა: პატერნალიზმი და პაციენტების ავტონომიურობა
- თემა 7. ბიოეთიკა: პატერნალიზმი და პაციენტების ავტონომიურობა - CPR და DNR,
- თემა 10. ბიოეთიკა: სიმართლის თქმა და კონფიდენციალურობა
- თემა 11. ბიოეთიკა: კონფიდენციალური სიმართლე და გაფრთხილების მოვალეობა
- თემა 12. ბიოეთიკა: ინფორმირებული თანხმობა
- თემა 13. ბიოეთიკა: ადამიანის კვლევა
- თემა 14. ბიოეთიკა: მეცნიერება და ინფორმირებული თანხმობა
- თემა 15. ბიოეთიკა: კლინიკური კვლევების მეცნიერება.
- თემა 16. ბიოეთიკა: ექსპერიმენტები ცხოველზე
- თემა 17. ბიოეთიკა: ექიმებისადმი მოპყრობა თერაპიული წარუმატებლობისა და სამედიცინო შეცდომების შემდეგ. ექიმების ურთიერთობების ეთიკური ასპექტები დარგთან და ადმინისტრაციასთან, ისევე როგორც სხვა ექიმებთან და სამედიცინო პერსონალთან ურთიერთობაში

იგივე ხდება სილაბუსების შინაარსში, რომელიც ეხება ლიდერობის უნარებს.

ამკარაა, რომ ეს შინაარსი არაა მიზანშეწონილი ახალი სტუდენტებისთვის პირველივე სემესტრიდან და მათი სამედიცინო კარიერის დასაწყისში. იგივე სიტუაცია ვლინდება შემდგომ "პროფესიულ ასპექტებში".

საერთო ჯამში, 21 კრედიტი გამოიყო სამეცნიერების უნარების განვითარებისათვის და ეს იწყება პირველივე სემესტრიდან (აკადემიური წერის კურსი), გრძელდება მედიცინაში კვლევის მოდული I-ით (4 ECTS), რომელიც ფოკუსირებულია სამეცნიერი კვლევის ელემენტებზე II (4 ECTS), ეპიდემიოლოგიურ და ბიოსტატისტიკურ ელემენტებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია მონაცემთა ანალიზისათვის. კვლევა მედიცინაში III (3 ECTS) ფოკუსირებულია შესაბამისი ინფორმაციის ძიების წყაროებზე, PICO მეთოდზე და სხვა, რომლებიც აერთიანებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მედიცინის დისციპლინას. კვლევით პროექტებზე მუშაობისას, ბოლო კურსის სტუდენტები იწყებენ კვლევას (7 ECTS) ინტერესის სფეროდან გამომდინარე და ატარებენ კვლევას მათი ხელმძღვანელების ან/და თანახელმძღვანელების ზედამხედველობის ქვეშ, რომლებსაც აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია. კვლევის ჩატარებისას სტუდენტები იყენებენ ყველა მეცნიერულ უნარს, რომელთაც გაეცნენ და განავითარეს მანამდე. კვლევის დასასრულს ხდება კვლევის შედეგების წარმოდგენა. ყველაზე ინოვაციური პროექტები და კვლევები შეიძლება გამოქვეყნდეს ადგილობრივ და სამეცნიერო ჟურნალებში.

სტუდენტებში პრაქტიკული უნარების დახვეწის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტს აქვს ხელშეკრულებები/მემორანდუმები სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებთან; ამ ეტაპზე წარმოდგენილია მემორანდუმი 28 კლინიკასთან. აფილირებული კლინიკების სახით წარმოდგენილია ორი სამედიცინო დაწესებულება: შპს "დავით

დავარაშვილის კლინიკა" და CAMILLIANS სამედიცინო ცენტრი საქართველოში. თითოეულ ხელშეკრულებაში/მემორანდუმში დეტალურად არის აღწერილი შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებაში სტუდენტების წლიური ბრუნვის მოცულობა და სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა იმავე პერიოდში (10 სტუდენტი ერთდროულად).

კლინიკური როტაციის დროს სტუდენტებისთვის არის საკმარისი კლინიკური გამოცდილება დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კლინიკურ/პრაქტიკული უნარების განსათვისებლად. მისი დეტალები და ჯგუფის დამოკიდებულება მისი ადეკვატურობის მიმართ გაშუქებული იქნება ამ ანგარიშის შემდეგ თავებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი. MD პროგრამა
- o სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი. თვითშეფასების ანგარიში
- o სილაბუსები
- o ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

არსებითად უნდა გადაიხედოს პროფესიული ასპექტების კურსების შინაარსი. ისინი თანდათან უნდა დაიწყოს და გართულდეს და აქცენტი მედიცინის სტუდენტის რეალურ საჭიროებებზე უნდა გაკეთდეს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- o არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა ანაო მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა ანაო მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა ანაო მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა ანაო მოთხოვნებთან
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3. სწავლებისა და სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიში და პროგრამის დოკუმენტაცია აჩვენებს, რომ კურიკულუმი ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდებით. მიუხედავად იმისა, რომ საბაზისი აღწერს კურსის მიზნებთან შესაბამის სწავლების მეთოდებს, რომლებიც ორიენტირებულია სწავლის შედეგებზე, მათ შორის ლექციები, სემინარები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლება, დისკუსია, ლაბორატორიული მუშაობა, ჯგუფური მუშაობა და ა.შ., სილაბუსების განხილვისას ამკარაა, რომ პრეკლინიკურ კურსების უმეტესობაში რეგულარულად გამოიყენება მხოლოდ ლექცია და სემინარი. ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ ზოგიერთ სილაბუსში პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, რომელიც ძალიან ხანმოკლეა და არ ახლავს დეტალები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სილაბუსში სწავლების მეთოდები მოიცავს მხოლოდ ლექციებს და სემინარებს, რაც ცოტა დამაბნეველია, ვინაიდან სილაბუსებში აღწერილი სწავლის შედეგების მიღწევა შეუძლებელია სემინარის ფორმატში სწავლების შემთხვევაში (მაგ. კურსი „დიაგნოსტიკის ზოგადი პრინციპები I“, რომლის შედეგებია: „იყენებს სხვადასხვა სამედიცინო აღჭურვილობას ფიზიკური შეფასებისთვის (მაგ. კემერტონს, შპადელს და ა.შ.); ატარებს სხვადასხვა ტესტს: რინის ტესტი, ვებერის ტესტი და სხვა; უტარებს კონსულტაციას პაციენტს ეთიკური საკითხების გათვალისწინებით“). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმავე სილაბუსში სწავლის მეთოდები ასევე მიუთითებს „და სხვა (საწოლთან სწავლება, შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლება, როლური თამაში, დისკუსია, დემონსტრირება)“, რაც იწვევს სასწავლო დატვირთვაში მოცემულ ინფორმაციასთან შეუსაბამობას. ამიტომ სილაბუსში მოცემული ინფორმაცია უნდა გასწორდეს - ყველა საკითხი იყოს თანმიმდევრული და ურთიერთდაკავშირებული.

იგივე სიტუაციაა ტრანსფერული უნარებისთვისაც, როგორცაა პროფესიონალიზმი და ბიოეთიკა. ამ კურსების ბუნება მოითხოვს შესაბამისი სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებას, როგორცაა დებატები, მაგრამ "პროფესიული ასპექტის I"-ის სილაბუსებში ამკარაა, რომ ძირითადი სწავლების მეთოდი არის ლექცია და "სემინარის" ბუნდოვანი ტერმინი, რომელიც მოიცავს ზეპირ შეფასებას. "პროფესიული ასპექტები II"-ში იგივე სიტუაციაა კომუნიკაციის უნარებთან დაკავშირებით.

კლინიკურ ფაზაში, მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსებში აღწერილი სწავლების მეთოდები აჩვენებს პაციენტთან ურთიერთქმედებას, ის შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ ფაკულტეტის წევრებს თან ახლავს სტუდენტები. პროგრამის ინგლისური ენის გათვალისწინებით, ეს ნიშნავს პაციენტთან ძალიან შეზღუდულ ინტერაქციას, რასაც არ მივყავართ სწავლის შედეგების მიღწევამდე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი. MD პროგრამა
- სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი. თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს კურსების უმრავლესობის სილაბუსები, რათა შეიცავდეს სწავლებისა და სწავლის შესაბამის მეთოდებს, რაც სწავლის შედეგების

მიღწევას უზრუნველყოფს. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეკლინიკურ საგნებზე დაფუძნებულ კურსებში, ლექციის გარდა, უფრო აქტიური უნდა იყოს სტუდენტზე ორიენტირებული სწვლევა-სწავლის მეთოდები. პრაქტიკული და პროფესიული უნარების გადაცემისთვის უნდა არსებობდეს შესაბამისი სწვლევა-სწავლის მეთოდები.

პროგრამის კლინიკურ ფაზაში მეტი შესაძლებლობა უნდა გამოიყოს პაციენტსა და ექიმს შორის ურთიერთობისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- o არასაკვალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამა იყენებს მრავალფეროვან შეფასებას მთელ კურიკულუმში, რომელთაგანაც უმეტესობა ობიექტურია, მათ შორის კლინიკური სწავლების ფაზაში. ყველა სილაბუსი შეიცავს შეფასების პროცესებისა და რუბრიკების ჩამოთვლას აღწერას. სტუდენტების მოსწრება ფასდება სხვადასხვა მეთოდით, როგორც კლინიკური უნარების შეფასება, ლაბორატორიული სამუშაოს შეფასება, პრაქტიკული უნარების შეფასება, მორიგეობი, პაციენტების მართვა, პრეზენტაციები, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა და სხვა. სასწავლო კურსების შეფასების სისტემა, როგორც წესი, მოიცავს შემდეგს: მიმდინარე აქტივობებს ყოველ სემესტრში (40 ქულა), შუალედურ გამოცდას (20 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). სტუდენტებს, რომლებიც სემესტრის ბოლოს და დასკვნითი გამოცდის შემდეგ 41 ქულას ვერ დააგროვებენ, არ ეძლევათ დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტებს, რომლებიც 41-50 ქულას დააგროვებენ, შეეძლება დამატებით გამოცდაზე გასვლა. სტუდენტებმა დამატებითი გამოცდა უნდა ჩააბარონ საბოლოო გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან 5 დღეში. მიუხედავად დარგობრივი მახასიათებლის მკაფიო რეკომენდაციებისა, რამდენიმე სწავლის შედეგის მისაღწევად ჩანაწერთა წიგნის/პორტფოლიოს ჩართვის შესახებ, ეს ორი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ვერ იქნა გამოვლენილი საბაუნის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში ან სილაბუსებში. აღსანიშნავია, რომ სილაბუსებში შეფასების სისტემა საკმაოდ ინტენსიურია.

მაგალითად, „დიაგნოსტიკის ზოგადი პრინციპები I“-ში სტუდენტი ფასდება 28-ჯერ (ზეპირი შეფასება 10-ჯერ, წერითი ქვიზი 2-ჯერ, დოკუმენტაცია 2-ჯერ, როლური თამაში 4-ჯერ, პრაქტიკული უნარ-ჩვევები 10-ჯერ, შუალედური გამოცდა 1-ხელ, დასკვნითი გამოცდა 1-ხელ). ეს საკმაოდ რთულია მენეჯმენტის თვალსაზრისით, როგორც ლექტორის, ისე სტუდენტებისათვის.

თითოეული აკადემიური კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, ნაწილობრივ შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას. სტუდენტები იღებენ გამოხმაურებას სწავლის შედეგებზე, საკუთარი ძლიერი მხარეების გაუმჯობესებაზე და მიმართულნი არიან გაუმჯობესებისაკენ.

მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის რამდენიმე სასწავლო კურსში, სადაც შუალედური გამოცდა ტარდება MINI-CEX-ით, რეკომენდებულია გამოცდის შეფასების ქულების დიაპაზონის გაზრდა იმ მოტივით, რომ სტუდენტს ექმნება ბარიერი და თუ ვერ გადალახავს, მას არ მიეცემა საბოლოო გამოცდაზე გასვლის უფლება. არსებული წესით, როდესაც მინი-კლინიკური გამოცდის მაქსიმალური ქულა მხოლოდ 20-ია, სტუდენტს ეძლევა საშუალება, ლექცია-სემინარებში დაგროვილი ჯამური ქულებით ჩააბაროს საბოლოო გამოცდა, თუნდაც შუალედური გამოცდის გამოტოვებით, რაც მიგვაჩნია დაუშვებლად კლინიკური მოდულების შემთხვევაში.

სტუდენტების შეფასების აპელაციის პროცესი გამჭვირვალე და ობიექტურია. ინტერვიუებისას სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ გასაჩივრების პროცესს, მაგრამ იგი პრაქტიკულად ჯერ არავის გამოუყენებია. თუმცა, დოკუმენტაციისა და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ეს დოკუმენტები და მათი ხელმისაწვდომობა საშუალებას აძლევს სტუდენტს მოითხოვოს მისი ნაშრომის ხელახალი შეფასება.

სულხან საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტს აქვს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი, რომელიც ნათლად არის ჩამოყალიბებული დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით. უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია უზრუნველყოს დისტანციური სწავლებისთვის საჭირო ელექტრონული რესურსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამა და სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების პროცედურა;
- ვებ-გვერდი <https://www.sabauni.edu.ge>.

რეკომენდაციები:

- უმაღლესი სამედიცინო განათლების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტისა და მინიმალური სტანდარტების გათვალისწინებით, რეკომენდებულია პორტფოლიოს/ჩანაწერთა წიგნის, როგორც შეფასების ერთ-ერთი სავალდებულო მეთოდის ინტეგრირება სწავლის მენეჯმენტის სიტემაში.
- მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის რამდენიმე სასწავლო კურსში, სადაც შუალედური გამოცდა ტარდება MINI-CEX-ით, რეკომენდებულია გამოცდის შეფასების ქულების დიაპაზონის გაზრდა იმ პირობით რომ

სტუდენტს შეექმნება ბარიერი რომლის ვერ გადალახვის შემთხვევაში, მას არ მიეცემა საბოლოო გამოცდაზე გასვლის უფლება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია მინი-კლინიკური გამოცდისა და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის საკითხების ინტეგრირება ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა ანაღო მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა ანაღო მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ანაღო მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებს
2.4. სტუდენტების შეფასება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, დაუფლების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტების შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ცნობიერებას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრებსა და დოქტორანტებს უწევს სათანადო ხარისხის სამეცნიერო ხელმძღვანელობას.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ-ის პროგრამაში ან/და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისაგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისაგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაუნის აკადემიური პერსონალი უაღრესად მოტივირებულია, რომ მიაწოდოს სტუდენტებს მაღალი ხარისხის სასწავლო ინფორმაცია და დაეხმაროს მათ სწავლის დროს.

სტუდენტებთან ტარდება კარიერასთან დაკავშირებული კონსულტაციები, მათთვის მოქნილი გრაფიკის მქონე ვაკანსიების შეთავაზებით. ვინაიდან პროგრამა ახალია, ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა შევხვედროდით დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტებს, თუმცა ფსიქოლოგიის პროგრამის სტუდენტებმა სიამოვნებით გაგვიზიარეს თავიანთი გამოცდილება. მათი უმეტესობა მუშაობს კარიტასში, თუმცა მხოლოდ რამდენიმეა დასაქმებული ფსიქოლოგიის სფეროში.

საბაუნის აკადემიური პერსონალი იყენებს ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდას სტუდენტების ცოდნის შესაფასებლად. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის ოთახების უმეტესობა განლაგებულია უნივერსიტეტის მთავარ შენობაში.

უნივერსიტეტს აქვს კლუბური სისტემა, დამატებითი აქტივობებისთვის სპორტში, მუსიკაში და ა.შ., რაც ეხმარება სტუდენტებს ერთმანეთთან კომუნიკაციის გაღრმავებაში. კლუბები ეხმარება სტუდენტებს თავიანთი იდეების პროექტებად ჩამოყალიბებაში. სტუდენტები პერიოდულად ქმნიან ახალ კლუბებს.

კარიერის მხარდაჭერის სერვისის ფარგლებში, სტუდენტებს შეუძლიათ შეხვდნენ პოტენციურ დამსაქმებლებს, საერთაშორისო სააგენტოებს, საერთაშორისო ონლაინ შეხვედრებზე.

უნივერსიტეტში ხელმისაწვდომია გრანტები, თუმცა სამუშაო გრაფიკის გამო ჯერ არცერთ მათგანი არ გამოუყენებიათ.

სტუდენტებმა იციან კონსულტაციების განრიგი და იციან როგორ მოიპოვონ ინფორმაცია ვებსაიტის საშუალებით.

უნივერსიტეტი გეგმავს დაეხმაროს სტუდენტებს კვლევითი უნარების შეძენაში. თვითშეფასების დოკუმენტში მითითებულია, რომ ამაში ჩართული იქნება ყველა კურსის სტუდენტი, თუმცა გასაუბრებისას მხოლოდ 4+ კურსელი იყო ნახსენები, რადგან დაბალი კურსის სტუდენტები არ არიან საკმარისად კვალიფიციურნი.

საბაუნს აქვს მემორანდუმები ევროპულ უნივერსიტეტებთან, როგორცაა ლილის კათოლიკური უნივერსიტეტი, ზაგრების უნივერსიტეტი და ა.შ. სტუდენტებს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის შესახებ ეცნობება ვებგვერდის მეშვეობით. სტუდენტებმა იცნობენ მთელ პროცესს და ზოგიერთი მათგანი ჩართული იყო გაცვლითი პროგრამაში პოლონეთში.

სტუდენტებმა იციან აპელაციის სისტემის შესახებ და შეძლეს ელექტრონული სწავლების ფუნქციების დემონსტრირება, როგორცაა გრაფიკის შემოწმება, ადმინისტრაციასთან კონტაქტი, გამოკითხვები და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ელექტრონული სწავლების პორტალი სტუდენტებისთვის
- უნივერსიტეტის ვებ-პორტალი - <https://www.sabauni.edu.ge/en>
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, ტუტორებთან, მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტისა და

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან

- დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
 - პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
-

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „მედიცინის“ პროგრამას ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამაში ჩართულია 32 აკადემიური პერსონალი (მათ შორის ორი უცხოელი): აქედან 11 აფილირებულია, ხოლო მოწვეულთა რაოდენობა 50-ს შეადგენს.

კადრების შერჩევა ხდება ღიად და მკაცრად, რასაც ადასტურებენ ლექტორები ინტერვიუებისას. აღსანიშნავია, რომ პერსონალის ნაწილი სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც არის დაკავებული, რითაც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მათი თავისუფალი დროის შესაბამისად, რაც ზოგ შემთხვევაში გულისხმობს 6-8 საათს ლექცია-სემინარებს ერთ დღეში. პერსონალის უმეტესობამ გაგვიმხილა, რომ ვინაიდან მუშაობენ კლინიკებში პრაქტიკოსებად, აუცილებელი ხდება სხვადასხვა აქტივობებისთვის სტუდენტების გადანაწილება მათი კლინიკის სხვადასხვა განყოფილებაში და კოლეგებისთვის სტუდენტების მართვაში დახმარების თხოვნა. ეს კოლეგები არ არის უნივერსიტეტის პერსონალი.

მედიცინის პროგრამაში, როდესაც კლინიკური კომპონენტი წარიმართება უნივერსიტეტში/სასწავლო კლინიკაში ან/და აფილირებულ კლინიკაში, სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად: ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში თითოეულ პაციენტზე არაუმეტეს 6 (ექვსი) სტუდენტი, ხოლო არაუმეტეს 10 სტუდენტი ყველა სხვა კლინიკურ განყოფილებაში. ლაბორატორიულ აქტივობებზე/კლინიკური უნარების სწავლების სიმულაციურ ცენტრში სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობაა 10; სემინარებზე სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობაა 15, ხოლო PBL/CBL აქტივობებში მონაწილეობს მაქსიმუმ 10 სტუდენტი. ასევე, პროგრამის საჭიროებებზე, სამედიცინო კრიტერიუმებსა და სხვა გარემოებებზე დაყრდნობით რეგულარულად ხდება პერსონალის დატვირთვის სქემების გადახედვა და დამუშავება „აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. კლინიკური პრაქტიკის ლექტორებისთვის ითქვა, რომ სასწავლო პროცესისთვის მოსახერხებელი იქნება, თუ შეფასების ოთახში (პაციენტებისთვის) იქნება არაუმეტეს 5-6 სტუდენტი. მაგალითად, საოჯახო მედიცინის შემთხვევაში, დაკვირვების დროს აღმოჩნდა, რომ ოთახი, სადაც სტუდენტები უნდა ეურთიერთონ პაციენტებს, ძალიან პატარაა ათი სტუდენტისათვის.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის, მოწვეული პერსონალი, სავარაუდოდ, უფრო მობილური იქნება და შესაძლოა წავიდეს სხვა ადგილებში სამუშაოდ. ეს სამედიცინო პროგრამისათვის წარმოადგენს პოტენციურ რისკს პერსონალის გაჟონვის გამო, განსაკუთრებით თუ ისინი ჩართულნი არიან მნიშვნელოვან კურსებში, რაც გავლენას მოახდენს განვითარების მდგრადობაზე.

ადმინისტრაციული პერსონალი კარგად მუშაობს ერთად, როგორც ეფექტური გუნდი, რასაც მოწმობს მათი პასუხები კითხვებზე, რომლებიც ძირითადად ერთმანეთს ემთხვეოდა და ამით გამოვლინდა, რომ ესმით ის საკითხებიც, რომლებშიც ისინი სულაც არ იყვნენ უშუალოდ ჩართულნი.

განმახორციელებელი პერსონალის დოკუმენტაციის დათვალიერებისას, ზოგიერთი მათგანის შესახებ სრული ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა. ბევრი რეზიუმეს შეფასება რთული იყო, რადგან არ ჩანდა განახლების თარიღი.

მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, კლინიკური სწავლების კურსების განმახორციელებლებს უნდა ჰქონდეთ მინიმუმ 3 წლიანი კლინიკური გამოცდილება, თუმცა დამადასტურებელი ცნობები ვერ მოიძებნა და ზოგიერთი მასწავლებლის შემთხვევაში სახელმწიფო სერტიფიკატი გაცემულია 1 ან 2 წლის წინ ან/და ატარებენ კლინიკურ საგანს, მაგრამ არ არიან დასაქმებულები კლინიკაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ასახავს მულტიდისციპლინური ჯანდაცვის გუნდისეულ მიდგომას, მიზანშეწონილი იქნებოდა ნათლად ჩამოყალიბებულიყო კონკრეტული საგნებისა და უნარებისთვის საჭირო კვალიფიკაცია. იმის გამო, რომ პროგრამა ინგლისურ ენაზეა, ყველა ქართველი ლექტორი, რომელიც ჩართულია პროგრამაში, უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას B2 დონეზე (ან უნდა ჰქონდეს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ლექტორად მათ აქტივობას უცხოელ სტუდენტებთან) და წარმოადგინოს ცნობა.

აკადემიური პერსონალისთვის უნივერსიტეტი ადგენს აუდიტორიის გარეთ საქმიანობას, რომელიც ანაზღაურებადია და რომლისთვისაც გათვალისწინებულია ასევე პირობითი ვადები. აქტივობები მოიცავს სტუდენტებთან ინდივიდუალურ მუშაობას, კონსულტაციებს, ახალი აკადემიური კურსის შემუშავებას, სასწავლო მიზნით საერთაშორისო მოხილობას და სხვა.

პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს პროგრამის ფარგლებში დასაქმებულ პერსონალს და უზრუნველყოფს აკადემიური კურსებისა და კომპონენტების განაწილებას. ასევე, პროგრამის ხელმძღვანელი ცდილობს პროგრამის განხორციელების ფარგლებში შეიმუშაოს პრაქტიკული/კვლევითი კომპონენტები და საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან. სულხან-საბას უნივერსიტეტის პროგრამის ხელმძღვანელს შეუძლია ასრულებდეს თავისი ფუნქცია-მოვალეობებს და სრულად იყოს ჩართული პროგრამის განვითარების პროცესში.

უნივერსიტეტის სტრუქტურა და მისი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მისიით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებას, უფრო კონკრეტულად კი ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას. პროგრამის განხორციელების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში მუშაობენ სათანადო კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლები. ისინი უზრუნველყოფენ სტუდენტების ინფორმირებას, სათანადო დახმარებას და ჩართულობას ექსტრაკურსულურ აქტივობებში. პროგრამის ფორმირებაში უშუალოდ მონაწილეობენ მედიცინის ფაკულტეტის დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელი. ისინი მონაწილეობენ პროგრამის პერსონალის შერჩევაში, კოორდინაციას უწევენ კლინიკებთან მემორანდუმების გაფორმების პროცესს, ამუშავებენ ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფის საკითხებს და სხვა.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁶	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
---	---	---	--	--

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

			პერსონალი ⁷	
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	32		32	11
- პროფესორი	5		5	
- ასოცირებული პროფესორი	19		19	
- ასისტენტ-პროფესორი	1		1	
- ასისტენტი	7		7	
მოწვეული პერსონალი	50			-
სამეცნიერო პერსონალი	0			-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი მონაცემები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის
- დადგენის მეთოდოლოგია;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
- უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ან ცალკეული პერსონალის აღწერილობები

რეკომენდაციები:

- აუცილებელია დაზუსტდეს იმ ადამიანების წვლილი და კვალიფიკაცია სტუდენტების სწავლა-სწავლების პროცესში, რომლებიც არ არიან ფაკულტეტის წევრები.
- უნივერსიტეტმა რეგულარულად უნდა აკონტროლოს პერსონალის რაოდენობა (სასწავლო და ადმინისტრაციული), რათა შენარჩუნდეს სტუდენტებისთვის მაღალი ხარისხის განათლების მიწოდება, და ასევე უნდა გაზარდოს იმ ექიმების რაოდენობა, რომლებსაც აქვთ კლინიკური პრაქტიკა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სადაც ტუტორებს არ აქვთ დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაცია, სასარგებლო იქნებოდა იმის გარკვევა, თუ რა კონკრეტული საგნები და უნარები შეიძლება ასწავლონ ჯანდაცვის სხვა პროფესიონალებმა და კვალიფიკაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევების დონე.
- მიზანშეწონილია, კლინიკური პრაქტიკის ლოკაციებზე სტუდენტების რაოდენობის შემცირება 5-6 სტუდენტამდე თითოეულ ჯგუფში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

⁷ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

კომპონენტი	შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.1. ადამიანური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➤ უსდ ახორციელებს პროგრამის პერსონალის შეფასებას და რეგულარულად აანალიზებს შეფასების შედეგებს.

➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პერსონალთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ პერსონალის მუშაობის შესახებ მონაცემების შეგროვების მიზნით უნივერსიტეტი იყენებს კითხვარებზე დაფუძნებულ მიდგომას. სტუდენტები აფასებენ პერსონალს ყოველი კურსის ბოლოს „წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების“ გამოყენებით. ასევე ხდება პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასება შეთანხმებული პროცესის გამოყენებით. პერსონალი ავსებს თვითშეფასების ანგარიშს და ეს მათ საშუალებას აძლევს, ხაზი გაუსვან თავიანთ ინტერესს ამა თუ იმ სასწავლო კურსის მიმართ. პერსონალის მუშაობის ყველა ეს ინდიკატორი გროვდება და კონტროლდება ხარისხის მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტის მიერ და გამოიყენება პროფესიული განვითარებისთვის.

უნივერსიტეტი სთავაზობს სხვადასხვა გადამზადების კურსებს: - მედიცინის პროგრამის პერსონალის გადამზადების მიზნით, 2022 წლის 7-8-9 ნოემბერს ეგეს უნივერსიტეტის პროფესორმა აიჰან კალისკანმა ჩაატარა ტრენინგ კურსი სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში, სადაც განხილული იყო შემდეგი თემები: შესავალი სამედიცინო განათლების შეფასებაში, მესრულების შეფასება - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოკვლევა (OSCE); შესავალი სამედიცინო განათლების შეფასებაში - ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოკვლევა (OSPE); სამედიცინო განათლების შეფასების თანამედროვე მეთოდების მიმოხილვა: შესავალი სამედიცინო განათლების შეფასებაში - სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასება -Mini-CEX, DOPS. ასევე იყო შეფასების კიდევ ერთი კურსი 2023 წლის 8-9 მაისს, პროფესორ დანიელ სალსედოს მიერ, Case Western Reserve University-ის მედიცინის სკოლიდან, რომელსაც ბევრი ფაკულტეტის წევრი (აფილირებული და მოწვეული პერსონალი) დაესწრო. მართალია ეს ორი კურსი ფასდაუდებელია ფაკულტეტის წევრების განვითარებაში, უნივერსიტეტის შემოთავაზებული გეგმის გათვალისწინებით, სწავლება-სწავლისა და შეფასების უამრავი აქტიური და ინოვაციური მეთოდის დანერგვის ასეთი ძალისხმევა საკმარისი არ არის და უნდა დაემატოს უფრო მოწინავე კურსები საერთოდ სამედიცინო განათლების შესახებ, კონკრეტულად კი სწავლება-სწავლისა და შეფასების კუთხით.

უნივერსიტეტი სთავაზობს პერსონალის კვლევით გრანტებს, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივს, და შესაძლებლობას ჩაერთონ პარტნიორი უნივერსიტეტების

აკადემიურ მობილობასა და საერთაშორისო პროექტებში. ამ ეტაპზე მოქმედია კვლევითი გრანტი ECHO AUTISM - ინიცირებულია პარტნიორი უნივერსიტეტის (რეჟიონის უნივერსიტეტი) და უნივერსიტეტის აფილირებული კლინიკის (Camellia Medical Center), სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის მიერ, რომელშიც ჩართულია მედიცინის ფაკულტეტი (სამი პროფესორით). მედიცინის ფაკულტეტის ორი წევრი (დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელი) დაესწრო კონფერენციას საფრანგეთში, ლიონში (2022 წლის 29-31 აგვისტო) - "ჯანმრთელობისა და სამედიცინო განათლების ერთად დახვეწა", რომელიც გაიმართა ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) მიერ.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ჩართულობის გასაძლიერებლად.

ინტერვიუებისას პროგრამის განმახორციელებლებმა დაადასტურეს უნივერსიტეტის მხარდაჭერის არსებობა სამეცნიერო მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o ინტერვიუები პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან
- o თვითშეფასების ანგარიში
- o კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი
- o კვლევითი პროექტების განხილვის, დამტკიცებისა და მათში მონაწილეობის წესები
- o პერსონალის მართვის პოლიტიკა

რეკომენდაციები:

- აუცილებელია სამედიცინო განათლების სფეროში აფილირებული და მოწვეული პერსონალის განვითარების მხარდაჭერა ინოვაციური სწავლა-სწავლების მეთოდებისა და შეფასების ჩათვლით.
- აუცილებელია ფაკულტეტის წევრებისთვის მეტი შესაძლებლობების უზრუნველყოფა და სასწავლო სფეროში მათი აკადემიური განვითარების მხარდაჭერა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- o არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
---	--------------------------	--------------------------	-------------------------------------	--------------------------

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად გამოიყენება სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსები.

უნივერსიტეტის მთავარ შენობაში დაცულია სანიტარიული, ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები. მას გააჩნია კეთილმოწყობილი აუდიტორიები ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობისათვის, პროექტორები და კომპიუტერები, თავისუფალი სამუშაო ფართები სტუდენტებისათვის და თავისუფალი წვდომა ბიბლიოთეკაზე.

სიმულაციური ცენტრი და ლაბორატორიები:

კლინიკური სიმულაციური ცენტრი განთავსებულია შენობის პირველ სართულზე (ექვსი ოთახი), აღჭურვილია სიმულატორებითა და მანეკენებით, რომელთა გამოყენება ხორციელდება სწავლების საბაზისო და კლინიკურ ეტაპებზე. აქ სტუდენტები დაეუფლებიან კლინიკურ მანიპულაციებს პრეკლინიკურ ეტაპზე. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი თვლის, რომ სიმულაციურმა ცენტრმა შეიძლება უზრუნველყოს OSCE-ის 12-ზე მეტი სადგურიც კი, პრაქტიკულად ეს შეიძლება იყოს მხოლოდ, დაახლოებით 10.

მთავარ შენობაში ფუნქციონირებს სათანადოდ აღჭურვილი და პროფესიონალი პერსონალით დაკომპლექტებული სხვადასხვა ლაბორატორია:

- ბიოქიმიისა და მიკრობიოლოგიის სამედიცინო სასწავლო ლაბორატორია,
- ჰისტოლოგიისა და პათოლოგიის სამედიცინო კვლევების ლაბორატორია (სასწავლო მასალა სლaidებით ნორმალური და პათოლოგიური ნიმუშების ჩათვლით, მიკროსკოპებით),
- ანატომიის სამედიცინო სასწავლო ლაბორატორია, აღჭურვილი ანატომიური მულაჟებით და ანატომიური მაგიდით ასკლეპიუსის ვირტუალური დისექციისათვის.

ზემოაღნიშნული ლაბორატორიების მაქსიმალური ტევადობა მხოლოდ 10 სტუდენტს შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ ყოველ 60 სტუდენტთან ნაკადს სჭირდება 6 დროის მონაკვეთი ყოველი პრაქტიკული გაკვეთილისათვის ყოველ სემესტრში, რომელშიც არ უნდა იყოს ორგანიზებული მთელი კლასის აქტივობა. მიუხედავად იმისა, რომ ექვსი 10 სტუდენტთან ჯგუფი შეიძლება როტაციით გადანაწილდეს სხვადასხვა აქტივობებში მონაცვლეობით, მას სჭირდება ჯგუფების დაგეგმვის ყოვლისმომცველი და მყარი გეგმა, რომელიც ვერ იქნა ნაპოვნი წარმოდგენილ დოკუმენტებში.

ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა განთავსებულია სკოლის მთავარ შენობაში. იგი აღჭურვილია საბიბლიოთეკო პროცესების წარმოებისთვის საჭირო ყველა სპეციალური ინვენტარითა და აღჭურვილობით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში განთავსებულია სამედიცინო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის ელექტრონული ასლები ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მათი მხოლოდ თითო ბეჭდური ასლია. ვინაიდან ბევრმა სტუდენტმა შეიძლება გამოიყენოს წიგნების ელექტრონული ვერსიები, არ არის აუცილებელი ამ წიგნების ნაბეჭდი ვერსიების ისეთი დიდი რაოდენობით ქონა, მაგრამ მხოლოდ თითო ბეჭდური ასლის უზრუნველყოფა თითოეული წიგნისათვის, რომელიც სტუდენტებს სჭირდებათ მათი სილაბუსებიდან გამომდინარე, საკმარისი არ არის.

ასევე ხელმისაწვდომია განახლებადი სამეცნიერო-პრაქტიკული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული წყაროები (სპეციალიზებული სამედიცინო ბაზები მედიცინის პროგრამის განხორციელების ფარგლებში: Up to Date, BMJ).

სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს ფართო წვდომა აქვთ სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზაზე. პერსონალისა და სტუდენტებისათვის შეძენილია შემდეგ მონაცემთა ბაზებზე წვდომის უფლება: EBSCO, Hein Online, Elsevier და ა.შ. უნივერსიტეტი არის ნორმატიული აქტების - „სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ციფრული გამომწერი.

ბიბლიოთეკას აქვს სათანადოდ აღჭურვილი სამკითხველო ოთახი ელექტრონული კატალოგით „OPEN BIBLIO“, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს შეუძლიათ სისტემის დახმარებით მოიძიონ მათთვის სასურველი ლიტერატურა.

ბიბლიოთეკის სივრცე დაკავშირებულია შენობის მე-4 სართულზე მდებარე სტუდენტურ სივრცესთან, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ გაატარონ თავისუფალი დრო, ისარგებლონ თანამედროვე სივრცეებით, ჩაატარონ ჯგუფური შეხვედრები და ა.შ.

ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს უკაბელო Wi-Fi ქსელს ბიბლიოთეკაში განთავსებული აღჭურვილობისთვის, პერსონალური ლეპტოპების, პლანშეტებისა და მობილური ტელეფონებისათვის.

უნივერსიტეტს ასევე აქვს სტუდენტური პორტალი (<https://www.student.sabauni.edu.ge/>), რომელიც გამოიყენება დასწრების, აქტივობებისა და შეფასებისთვის. ამ პორტალის მეშვეობით საუნივერსიტეტო საზოგადოება იღებს უახლეს ინფორმაციას და შეუძლია მიიღოს გამოხმაურება ონლაინ.

IT ლაბორატორია:

მთავარ კამპუსში განთავსებულია IT ლაბორატორია 30 კომპიუტერით. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკმარისია IT მეცადინეობებზე შეფასების მიზნით, ის შეიძლება გამოიყენებულ იქნას მხოლოდ 10, მაქსიმუმ 15 სტუდენტისათვის. აღსანიშნავია, რომ ეს კლასები არ არის მხოლოდ მედიკოსი სტუდენტებისათვის.

კლინიკური ობიექტები:

რაც შეეხება, მედიცინის პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელ კლინიკურ

ინფრასტრუქტურას: უნივერსიტეტს აქვს ხელშეკრულებები/მემორანდუმები გაფორმებული სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებასთან; ამ ეტაპზე წარმოდგენილია მემორანდუმები 28 კლინიკასთან. ორი სამედიცინო დაწესებულება: შპს "დავით დავარაშვილის კლინიკა" და CAMILLIANS სამედიცინო ცენტრი საქართველოში, წარმოადგენს აფილირებულ კლინიკას.

თითოეულ ხელშეკრულებაში/მემორანდუმში დეტალურად არის აღწერილი შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში სტუდენტების წლიური ბრუნვის მოცულობა და სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა იმავე პერიოდში (10 სტუდენტი ერთდროულად).

აღსანიშნავია, რომ აფილირებული კლინიკები წარმოადგენენ მონოპროფილურ კლინიკებს და მომსახურებას მხოლოდ ერთი ცალკეული მიმართულების ფარგლებში ახორციელებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ კლინიკები საკმაოდ დიდ მანძილზეა მიმოფანტული. მნიშვნელოვანია, თუ როგორ განხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი თბილისის მასშტაბით და მის შემოგარენში, მაგალითად, მცხეთაში გაბნეულ 28 კლინიკაში.

საგანმანათლებლო სივრცეები, მათ შორის პაციენტების ვიზიტებისა და სტუდენტების შეხვედრების ოთახები, არ იყო საკმარისი სტუდენტებისათვის.

აღსანიშნავია, რომ კლინიკებში დასაქმებული პედაგოგები, რომლებიც პარალელურად ახორციელებენ კლინიკურ საქმიანობას, ვერ შეძლებენ 10 სტუდენტთან ერთად პრაქტიკულ საქმიანობას.

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ასეთ შემთხვევებში სტუდენტები გადანაწილებიან სხვა კოლეგებზე, მაგრამ გაურკვეველია, რა პასუხისმგებლობა და პედაგოგიური უნარ-ჩვევები ექნებათ კლინიკის სხვა პერსონალს, რომლებიც იმუშავენ სტუდენტებთან, როდესაც უნივერსიტეტის პროფესორი (აკად. პერსონალი, მოწვეული მასწავლებელი) დაკავდება პრაქტიკული საქმიანობით.

„ავერსის კლინიკის“ მემორანდუმში აღნიშნულია, რომ სტუდენტები ჩაირიცხებიან შემდეგ კურსებზე: ქირურგია I (5 კვირა) - სულ წელიწადში 60 სტუდენტი - 10 სტუდენტი ერთდროულად

პედიატრია - (5 კვირა) - 60 სტუდენტი - 10 სტუდენტი ერთდროულად

პედიატრიული ნევროლოგია (2 კვირა) - 60 სტუდენტი - 10 სტუდენტი ერთდროულად

გადაუდებელი მედიცინა - 60 სტუდენტი - 6 სტუდენტი ერთდროულად

შინაგანი მედიცინა IV - 7 კვირა - 60 სტუდენტი - 6 სტუდენტი ერთდროულად

თუმცა, კლინიკაში ადგილზე ვიზიტისას დავაკვირდით სტუდენტების სარგებლობისთვის გამოყოფილ ფართებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ყველა ამ კურსის გავლის შესაძლებლობა აშკარად არ იყო ხუთივე როტაციისათვის, განსაკუთრებით პედიატრიული სპეციალიზაციის შემთხვევაში. კლინიკას შეიძლება შეექმნას გამოწვევები სტუდენტების ასეთი დიდი ნაკადის განსათავსებლად. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული როტაციების ინსტრუქტორები არ არიან აფილირებულები ავერსის კლინიკასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობისა და საბიბლიოთეკო ფონდის საკუთრებაში ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზებში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტები; ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები;
- შენობის დაგეგმვითი ნახაზი;
- ლიკვიდური აქტივების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ხელშეკრულებები, სააღრიცხვო დოკუმენტები, ინვენტარიზაციის აქტი
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- მშენებლობის ნებართვა, არქიტექტურული პროექტი, ხელშეკრულება სამშენებლო სამუშაოებზე;
- მემორანდუმები კლინიკებთან.
- <https://www.sabauni.edu.ge>
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, კლინიკების წარმომადგენლებთან

რეკომენდაციები:

- შემუშავდეს უნივერსიტეტის ლაბორატორიებისა და სიმულაციური ცენტრის გამოყენების დეტალური გეგმა, რათა უზრუნველყოფის იქნას დიდი რაოდენობის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობა (60 სტუდენტი იმ ლაბორატორიებში, რომლებსაც მხოლოდ 10 სტუდენტის ტევადობა აქვთ თითოეულ ჯერზე).
- უზრუნველყოფილ იქნეს აფილირებულ კლინიკებში საკმარისი სივრცეები, მათ შორის პაციენტების მონახულების ოთახები და სასწავლო ოთახები, სტუდენტების კლინიკური როტაციისათვის.
- ბიბლიოთეკაში უნდა გაიზარდოს მოთხოვნადი წიგნების რაოდენობა, რომლებსაც მეტი სტუდენტი გამოიყენებს და გაიცემა დროებითი სარგებლობისათვის.
- შემუშავდეს უნივერსიტეტის მიერ კლინიკური განათლების ხარისხის ზედამხედველობის სათანადო სისტემა ასე დიდი რაოდენობის ტერიტორიულად გაფანტული კლინიკების გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.4. მატერიალური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების

გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მედიცინის პროგრამის სრული განხორციელებისთვის ბიუჯეტის დაგეგმვა მიზნად ისახავს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებას, საგანმანათლებლო-საბიბლიოთეკო რესურსების შევსებასა და მოდერნიზაციას.

ბიუჯეტი მიმართულია სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობის ხელშეწყობაზე.

ფინანსური რესურსები გამოიყოფა ექსტრაკუროსული აქტივობებისათვის, სხვა საქონლისა და მომსახურებების შესყიდვისათვის და კლინიკებისთვის. პროგრამულ ბიუჯეტში ასევე გამოყოფილია გაუთვალისწინებელი ხარჯები. სამედიცინო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი ფინანსური რესურსები ეკონომიკურად მიღწევადია.

მედიცინის პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია შემოსავლებით, როგორც საგანმანათლებლო, ასევე უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული სხვა საქმიანობებიდან. ბიუჯეტის დაფინანსების წყაროებია სწავლის საფასური, სახელმწიფო საგანმანათლებლო და სოციალური გრანტები, კერძო გრანტები, შემოწირულობები, შემოსავალი სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან, შემოსავალი საერთო საცხოვრებლებიდან და ა.შ. ადგილობრივი თუ უცხოელი დონორებისგან მიღებული მიზნობრივი გრანტები გამოიხსნის ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე და სხვა საჭიროებებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამედიცინო პროგრამის ბიუჯეტი;
- უნივერსიტეტის მდგრადობის პოლიტიკა და მისი ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
------------	--------------------------------	---	--	---------------------------

4.5. პროგრამის/ფაკულტეტი ს/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
--	-------------------------------------	--------------------------	--------------------------	--------------------------

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს ჩამოყალიბებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და სისტემა, რათა უზრუნველყოს მისი საქმიანობის და რესურსების მუდმივი შეფასება და გაუმჯობესება. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების ეფექტურად განხორციელებაზე. ამ პროცესებში ასევე ჩართულია დაწესებულების სხვადასხვა ერთეულებიც.

ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის პერსონალთან თანამშრომლობით, მუდმივად ცდილობს აღმოფხვრას თვითშეფასების ანგარიშის შექმნისას გამოვლენილი ხარვეზები. მედიცინის პროგრამის თვითშეფასების ანგარიში მომზადდა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის აქტიური ჩართულობით.

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტებითა და ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებით, ცხადი გახდა, რომ უნივერსიტეტს აქვს ყველა საჭირო მექანიზმი და პროცედურა PDCA ციკლის შესაბამისად სწავლების, სწავლისა და კვლევითი საქმიანობის უწყვეტი შეფასებისა და გაუმჯობესებისათვის. ეს მექანიზმები მოიცავს სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგს, აკადემიური პროგრამების შეფასებას და გაუმჯობესებას, როგორც შიდა, ისე გარე

დაინტერესებული მხარეების წვლილით და აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და ადმინისტრაციული დამხმარე პერსონალის მუშაობის შეფასებას.

უნივერსიტეტი ატარებს გამოკითხვებს, რომლებიც ითვალისწინებენ აკადემიური ექსპერტების, მოწვეული სპეციალისტების, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მონაწილეობას. ეს გამოკითხვები ტარდება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ფორმირებისათვის. ამ გამოკითხვების მიზანია შეაფასოს არსებული მდგომარეობა და გამოიყენოს ეს ინფორმაცია იმ არსებითი კრიტერიუმების დასადგენად, რომლებიც უნდა იყოს ჩართული საგანმანათლებლო პროგრამებში.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი კითხვარები შემუშავდა სხვა პროგრამებისთვის, თუმცა მედიცინის პროგრამის კითხვარებს დაემატა ცალკეული კითხვები. თვითშეფასების ანგარიშებში აღნიშნულია, რომ „მედიცინის პროგრამის შემუშავების საკითხმა დღის წესრიგში პირველ ადგილზე დააყენა ხარისხის პროცედურებისა და მექანიზმების შეცვლის აუცილებლობა. ამ მიზნით სამუშაო ჯგუფის ფარგლებში გაგრძელდა აქტივობები ხარისხის შეფასების მექანიზმებისა და მედიცინის სფეროსთან დაკავშირებული მახასიათებლების მოთხოვნების გათვალისწინებით და გარკვეული ცვლილებები შევიდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში, რომლებიც სათანადოდ იქნა ჩართული მარეგულირებელ პროცედურაში და შესაბამის გამოკითხვის შედეგების ფორმებში“. თუმცა, დაწესებულებას ჯერ კიდევ სჭირდება მუშაობა ხარისხის შეფასების სისტემის შემდგომი გაძლიერებისა და მედიცინის პროგრამის განხორციელებისა და განვითარების ხარისხის შეფასებასთან მისადაგებაზე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კარგი იქნება თუ დაწესებულება შეიმუშავებს სპეციალურად მედიცინის პროგრამაზე მორგებულ უფრო დეტალურ კითხვარებს (სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისათვის), რადგან ის რეგულირებადი პროფესიაა და მისი შედეგები და კარიერის გზა განსხვავებულია. ასევე, გასათვალისწინებელია მედიცინის დარგობრივ მახასიათებელთან დაკავშირებული კითხვები. უნდა იყოს კონკრეტული კითხვები მედიცინის სპეციფიკურ გამოცდებზე (OSCE, OSPE, mini-CEX და ა.შ.) და მათთვის საჭირო აღჭურვილობასა და დამხმარე პერსონალთან დაკავშირებით. ასევე, იმ პაციენტების რაოდენობის შესახებ, რომელიც დააკმაყოფილებდა სტუდენტთა სუბორდინატურის მოთხოვნებს, მედიცინის კონკრეტული დარგების მიხედვით. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, შეფასების შედეგებისა და განაცხადის პროცედურის 4.2 ნაწილში, თავად უმადლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ცალსახად განაცხადა, რომ „თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნები და ინსტრუმენტები განსხვავებულია“.

„საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, ჩამოყალიბებისა და შემუშავების მეთოდოლოგიასა და მისი დამტკიცების პროცედურაში“ აღწერილია მედიცინის პროგრამის მიზანი, რომელიც განსხვავდება პროგრამაში და სხვა დოკუმენტებში მითითებული მიზნებისაგან. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს დოკუმენტებში მოცემული ჩანაწერების თანმიმდევრულობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კმაყოფილების კვლევები
- კმაყოფილების შეფასების ფორმები

- კურსის შეფასების გამოკითხვის ფორმა
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მაგალითები
- სწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორები
- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, ჩამოყალიბებისა და შემუშავების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების პროცედურა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების პროცედურა
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- დაწესებულებამ უნდა გაამდიეროს ხარისხის შეფასების სისტემა, რომელიც შექმნილია სპეციალურად მედიცინის პროგრამის განსახორციელებლად და განვითარებისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- o არასაკვალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები მოიცავს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ავტორიზაციასა და აკრედიტაციას.

ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ პროგრამის გარე შეფასება განხორციელდა უცხოელი კოლეგების მიერ. პროგრამას ჩაუტარდა ყოვლისმომცველი შეფასება, რომელშიც ჩართული იყო რამდენიმე პროფესიონალი, მათ შორის პროფესორი მაჩივსკი, პარტნიორი უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ხორვატიის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ვიცე-დეკანი ელვირა ლაზიჩ მოსლერი,

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (თსუ) მედიცინის ფაკულტეტის დეკანი. მათი რეკომენდაციები ორიენტირებული იყო კომპონენტების ინტეგრირებაზე და სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე. საერთაშორისო კოლეგამ წარმოადგინა გარკვეული რეკომენდაციები და უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გაითვალისწინა ისინი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ურთიერთგაგების მემორანდუმი
- თვითშეფასების ანგარიშში მითითებული რეკომენდაციები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- o არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ შესაბამისობა მოთხოვნებს
5.2. ხარისხის გარე შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ტარდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მონაცემთა სისტემატური შეგროვების, შესწავლისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა საწყის ეტაპზეა. სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან შესაბამისობაში, განხორციელდება უწყვეტი მონიტორინგი. შეგროვებული მონაცემების გამოყენებით, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი წინა საანგარიშო პერიოდის აქტივობებს შეუხამებს მიმდინარე წლისას. ეს ანალიზი დაეხმარება პროგრამის ძლიერი მხარეების,

გასაუმჯობესებელი მხარეების, შესაძლებლობებისა და პოტენციური გამოწვევების იდენტიფიცირებას. ეს მიდგომა საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს დახვეწოს პროგრამის განვითარება. პროგრამის მონიტორინგისა და რეგულარული შეფასების პროცესი მოიცავს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, ასევე სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას. ეს ყოვლისმომცველი მიდგომა გულისხმობს მონაცემთა სისტემატურ შეგროვებას, შემოწმებას და ანალიზს.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების გეგმა (მათ შორის, შეფასების ინსტრუმენტების დიზაინი და შემუშავება, ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი, ინტერპრეტაცია და ანგარიშების შედგენა) ზედმეტად ყოვლისმომცველია ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამი თანამშრომლის მიერ განსახორციელებლად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალი დაინტერესებულია და შეუძლია გაუმკლავდეს სამუშაოს, მაგრამ შეფასების გეგმის სიდიდე, რომელიც მოწოდებულ დოკუმენტებშია ნახსენები, იმდენად შრომატევადია, რომ შეუძლებელია მხოლოდ სამი თანამშრომლით გამკლავება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები
- კურსის შეფასების გამოკითხვის ფორმები
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების შაბლონები

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს საკმარისი რესურსი შეფასების გეგმის ადგილზე განსახორციელებლად ან შეზღუდოს MD პროგრამის მიმდინარე მონიტორინგისა და შეფასების გეგმა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- o არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შეფასება				
----------	--	--	--	--

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სულხან საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, დონე:
მედიცინა, VII დონე

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე</u>	
--	--

აზიმ მირზაზადევი	
<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები</u>	
ხათუნა საგანელიძე (დარგის ექსპერტი)	
თამარ გოდერიძე (დარგის ექსპერტი)	
გიორგი აბულაძე (სტუდენტი ექსპერტი)	
დავით ჯიქია (დარგის დამსაქმებელი)	